საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-640

10/05/2021

ქ. თბილისი

„ონის, ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ორჯაჭვა 220კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ონი-ლაჯანურის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-272 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-272 ბრძანებით გაიცა „ონის, ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ორჯაჭვა 220კვ ძაბვის საჰაერო ეგხ-ს „ონი-ლაჯანურის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N19 (11.02.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ონის, ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ორჯაჭვა 220კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ონი-ლაჯანურის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N2-272 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ონის, ამბროლაურის და ცაგერის

მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი